ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება № 4
2026 წლის 29 იანვარი
ქალაქი ახალციხე

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს" ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1.
დამტკიცდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს" ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.
ძალადაკარგულად გამოცხადდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს" ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის №29 დადგენილება.

მუხლი 3.
დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე საბა კბილაშვილი

დანართი

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს'' ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს'' ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესი'' (შემდგომში-წესი) განსაზღვრავს ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარჩინებულ სტუდენტებზე სტიპენდიის გაცემის წესსა და პირობებს.
2. წესის მიზანია სწავლაზე ორიენტირებული, მოტივირებული და წარჩინებული სტუდენტების წახალისება სტიპენდიის გაცემის გზით.
3. დაფინანსება ხორციელდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის ფარგლებში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **საგანმანათლებლო დაწესებულება** - ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამივე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით ჩამოყალიბებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;

ბ) **სტუდენტი** – საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი (ბაკალავრი), რომელიც განცხადების შემოტანის მომენტისთვის, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, რეგისტრირებულია ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

გ) **წარჩინებული სტუდენტი** - სტუდენტი, რომლის აკადემიური მოსწრება ფასდება ყველა საგანში არანაკლებ 97 ქულით, რომელიც გამოითვლება წინა სემესტრის სასწავლო კურსებში მოპოვებული კრედიტების საფუძველზე;

დ) **სტიპენდია** - ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ წარჩინებული სტუდენტისათვის გაცემული ფულადი თანხა.

მუხლი 3. სტიპენდიის გაცემის ადმინისტრირება

სტიპენდიის გაცემის ადმინისტრირებას ახორციელებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური (შემდგომში-სამსახური), სტუდენტის მხრიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ამ წესით დადგენილი პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 4. წარჩინებული სტუდენტებისათვის სტიპენდიის გასაცემად აუცილებელი კრიტერიუმები და პირობები

1. სტიპენდია შეიძლება გაიცეს სტუდენტზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმს:
   ა) არის საქართველოს მოქალაქე;
   ბ) განცხადების შემოტანის მომენტისთვის მინიმუმ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში რეგისტრირებულია ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
   გ) არის ბაკალავრის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი;
   დ) სემესტრის განმავლობაში, სასწავლო კურსებში გავლილი კრედიტების საფუძველზე, ყველა საგანში მოპოვებული აქვს არანაკლებ 97 ქულა.

2. სტიპენდიის მისაღებად სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) საბანკო რეკვიზიტები;

გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი/ ამონაწერი სემესტრში გავლილი საგნებისა და შეფასებების შესახებ;

დ) ამონაწერი ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის შესახებ;

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ამონაწერი სტუდენ-ტის აკადემიური სტატუსის ფლობის შესახებ.

3. სტიპენდიის ოდენობა ერთ წარჩინებულ სტუდენტზე სემესტრში შეადგენს 500.00 (ხუთასი) ლარს (დარიცხული).

4. სტუდენტს გადაეცემა შესაბამისი სერტიფიკატი (დანართი 2).

მუხლი 5. სტიპენდიის გაცემა

1. წარჩინებულ სტუდენტს სტიპენდია გადაერიცხება წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე;
2. სტიპენდია გაიცემა სემესტრულად, სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს ორჯერ, სალექციო კურსის წინა სემესტრის შედეგების საფუძველზე, მომდევნო სემესტრში.

სერტიფიკატი

წარმატებული სწავლისათვის ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდია

გადაეცემა

ახალციხე, 2026

ვარლამ წიკლაური
ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი